



საქართველოს მთავრობის მოხსენება
2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
მიმდინარეობის შესახებ

თბილისი

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2016 წლის პირველი შვიდი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2.7 პროცენტი შეადგინა. აქედან, პირველი კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 2.6 პროცენტია, ხოლო მეორე კვარტალში - 3.0 პროცენტი. პირველი ნახევრის მონაცემებით, ეკონომიკურ აქტივობაში წარმმართველი როლი მშენებლობას, სასტუმროებს და რესტორნებს და საფინანსო საქმიანობას უჭირავთ. ეკონომიკის რეალური ზრდის დარგობრივი სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად გაიზარდა მშენებლობა - 18.2 პროცენტით, სასტუმროები და რესტორნები - 11.2 პროცენტით, საფინანსო საქმიანობა - 8.9 პროცენტით და ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა - 6.1 პროცენტით.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2016 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 13.0 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება 10.9 პროცენტით გაიზარდა. 32.5 ათასით არის გაზრდილი ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

ფასები

2016 წლის აგვისტოში 2015 წლის აგვისტოსთან შედარებით ინფლაციის დონემ 0.9 პროცენტი შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ჯგუფში ფასები გაიზარდა 11.9 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში 3.3 პროცენტით, სასტუმროები, კაფეები და რესტორნების ჯგუფში 4.6 პროცენტით, ხოლო 7.7 პროცენტის კლება დაფიქსირდა ტრანსპორტის ჯგუფზე.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2016 წელს 5 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2017 წლისათვის - 4 პროცენტს. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევას საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლის ბოლოსთვის პროგნოზირებს.

საგარეო სექტორი

2016 წლის იანვარ-აგვისტოში საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16 პროცენტით არის გაზრდილი და 7,426 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აქედან, ექსპორტი 1,312 მლნ დოლარია, ხოლო იმპორტი 6,114 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად 10 პროცენტით ნაკლები და 23 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტი, რომლის გარეშეც იმპორტი 4,556 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (4% ნაკლები). ექსპორტი შემცირებულია როგორც ევროკავშირთან, ასევე დსთ-ს ქვეყნებთან, მათ

შორის აზერბაიჯანის (-56%) და სომხეთის (-22%) მიმართულებით, თუმცა ზრდა დაფიქსირდა რუსეთის (21%) და უკრაინის (15%) შემთხვევაში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2015-2016 წლის იანვარი-აგვისტო
(C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტის ღირებულების გარეშე)

მლნ აშშ დოლარი

	2015	2016	2015	2016	2015	2016
	I კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი	II კვარტალი	8 თვე	8 თვე
ექსპორტი	501.4	442.8	579.8	505.4	1,458.5	1,312.1
იმპორტი	1,795.8	1,484.7	1,722.8	1,788.7	4,722.8	4,556.3
ბალანსი	-1,294.5	-1,041.9	-1,143.1	-1,283.2	-3,264.3	-3,244.2

2016 წლის პირველ კვარტალში სავაჭრო ბალანსი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 252.6 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა, ხოლო მეორე კვარტალში დეფიციტის 140.2 მლნ აშშ დოლარით გაუარესება დაფიქსირდა. 2016 წლის 8 თვეში, სავაჭრო დეფიციტი 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირებულია 20.1 მლნ აშშ დოლარით.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი
2016 წელი იანვარი-აგვისტო

2016 წლის იანვარ-აგვისტოში შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 6,131.0 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 63.9 პროცენტს შეადგენს. გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 65.1 პროცენტია.

ბიუჯეტის შემოსავლების 2016 წლის
იანვარ-აგვისტოს შესრულება


მლნ ლარი

	2016 გეგმა	2016 8 თვის ფაქტი	შესრულება %
შემოსავლები	9,590.0	6,131.0	63.9%
გადასახადები	8,685.0	5,655.3	65.1%
გრანტები	255.0	122.0	47.8%
სხვა შემოსავლები	650.0	353.7	54.4%

მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების ანალიზი

2016 წლის იანვარ-აგვისტოში ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 5,655.3 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.8 პროცენტით (504.0 მლნ ლარი) მეტია.

2016-2015 წწ იანვარ-აგვისტოს საგადასახადო შემოსავლების ფაქტი
(მლნ ლარი)



საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1,513.7 მლნ ლარი, რაც 9.0 პროცენტით (124.7 მლნ ლარი) აჭარბებს გასული წლის მაჩვენებელს.

მოგების გადასახადიდან მობილიზებულია 705.4 მლნ ლარი, რაც 2.0 პროცენტით (14.2 მლნ ლარით) ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მობილიზებულია 2,118.0 მლნ ლარი, რაც 6.5 პროცენტით (146.8 მლნ ლარით) ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე.

აქციზის გადასახადიდან მობილიზებულია 702.2 მლნ ლარი, რაც 30.1 პროცენტით (162.6 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

იმპორტის გადასახადიდან მობილიზებულია 45.3 მლნ ლარი, რაც 1.1 პროცენტით (0.5 მლნ ლარი) ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე.

ქონების გადასახადიდან მობილიზებულია 270.1 მლნ ლარი, რაც 52.6 პროცენტით (93.1 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

სხვა გადასახადიდან მობილიზებულია 300.6 მლნ ლარი.


აღსანიშნავია, რომ ცალკეული გადასახადების არაერთგვაროვანი შესრულება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან შეიცვალა და გამარტივდა გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადის გადახდის სისტემა, ნაცვლად არსებული სახაზინო კოდებისა ყველა გადასახადისთვის დაწესდა ხაზინის ერთიანი სახაზინო კოდი და გაუქმდა კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების სახეების სახაზინო კოდები. გადახდილი თანხების აღრიცხვა კონკრეტული გადასახადის

სახეში ხდება გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესაბამისად, ხოლო საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარების ვადის დადგომამდე ან გადახდის ვალდებულების წარმოქმნამდე გადახდილი თანხები აღირიცხება სხვა გადასახადში, საიდანაც შემდგომში, საგადასახადო ვალდებულების დადგომის შემდეგ, ხდება მისი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. სხვა გადასახადში აღირიცხება ასევე გაურკვეველი ან არასწორი პირადი მონაცემების მითითებით განხორციელებული გადახდები მათ დაზუსტებამდე. აღრიცხვის ახალი სისტემა გრძელვადიანი პერიოდისთვის უზრუნველყოფს გადასახადების აღრიცხვის გაუმჯობესებას.

გადასახადების დინამიკა

*ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა,
იანვარ-აგვისტო 2013-2016წწ.*

მლნ ლარი



ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 8 თვის შესრულების შესახებ

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8,555.0 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5,469.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 63.9%.

**2016 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

მლნ ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2016 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	8,555.0	5,469.3	-3,085.7	63.9%
გადასახადები	7,980.0	5,177.7	-2,802.3	64.9%
გრანტები	255.0	121.4	-133.6	47.6%
სხვა შემოსავლები	320.0	170.3	-149.7	53.2%

გადასახადების 2016 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7,980.0 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5,177.7 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 64.9%.

**2016 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო
შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

მლნ ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2016 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
გადასახადები	7,980.0	5,177.7	-2,802.3	64.9%
საშემოსავლო გადასახადი	2,086.0	1,306.2	-779.8	62.6%
მოგების გადასახადი	980.0	705.4	-274.6	72.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,802.0	2,118.0	-1,684.0	55.7%
აქციზი	1,012.0	702.2	-309.8	69.4%
იმპორტის გადასახადი	75.0	45.3	-29.7	60.4%
სხვა გადასახადი	25.0	300.6	275.6	1,202.4%

გრანტების 2016 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 255.0 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 121.4 მლნ ლარი (მ.შ. გათვალისწინებულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტები), ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 47.6%.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 320.0 მლნ ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 170.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 53.2%.

სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2016 წელი გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	320.0	170.3	-149.7	53.2
შემოსავლები საკუთრებიდან	64.5	49.5	-15.0	76.7
პროცენტები	50.0	38.4	-11.6	76.7
დივიდენდები	2.5	0.2	-2.3	8.7
რენტა	12.0	10.9	-1.1	90.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	75.9	35.4	-40.5	46.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	70.8	33.5	-37.3	47.3
სალიცენზიო მოსარებლები	0.8	0.3	-0.5	33.9
სანებართვო მოსარებლები	50.0	19.0	-31.0	38.1
სარეგისტრაციო მასაკრებლები	1.4	1.4	0.0	99.1
სახელმწიფო ბაჟი	15.0	11.3	-3.7	75.0
საკონსულო მოსაკრებელი	2.2	0.8	-1.4	37.2
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.0	0.5	-0.5	51.4
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.4	0.2	-0.2	60.8
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.1	1.9	-3.2	36.7
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.1	0.1	0.0	126.7
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5.0	1.7	-3.3	34.6
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		0.01	0.01	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	70.0	38.4	-31.6	54.9
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	2.4	13.1	10.7	547.7
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	107.2	33.9	-73.3	31.6

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 139.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (225.0 მლნ ლარი) 62.0%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 43.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (90.0 მლნ ლარი) 48.1%-ია.

ვალდებულებების ზრდის შედეგად მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 607.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 47.6%-ს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სახსრები შეადგენს 208.5 მლნ ლარს, ხოლო საგარეო წყაროებიდან მიღებული სახსრები შეადგენს 398.6 მლნ ლარს.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება


„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის *ასიგნებები* განისაზღვრა 10 145.0 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 6 426.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 63.3%-ია. მათ შორის:

2016 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით **ხარჯების** დაზუსტებული გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვრა 8 593.6 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 5 507.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 64.1%-ია.

საანგარიშო პერიოდში **ხარჯების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით** განისაზღვრა:

- ✓ „**შრომის ანაზღაურების**“ მუხლი - 952.1 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 441.3 მლნ ლარი) 66.1%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 17.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 14.8%-ს შეადგენს.
- ✓ „**საქონელი და მომსახურების**“ მუხლი - 692.5 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (1 064.7 მლნ ლარი) 65.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 10.8%-ს შეადგენს.
- ✓ „**პროცენტის**“ მუხლი - 271.1 მლნ ლარით (წლიური გეგმის 415.8 მლნ ლარის 65.2%-ია), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.2%-ს შეადგენს.
- ✓ „**სუბსიდიების**“ მუხლი - 204.9 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (285.7 მლნ ლარი) 71.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.2%-ს შეადგენს.
- ✓ „**გრანტების**“ მუხლი - 582.4 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (977.3 მლნ ლარი) 59.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 9.1%-ს შეადგენს.
- ✓ „**სოციალური უზრუნველყოფის**“ მუხლი - 2 036.9 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური პარამეტრის (3 058.0 მლნ ლარი) 66.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 31.7%-ს შეადგენს.
- ✓ „**სხვა ხარჯების**“ მუხლი - 767.1 მლნ ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმის (1 350.9 მლნ ლარი) 56.8%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 13.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ასიგნებების 11.9%-ს შეადგენს.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რვა თვის ხარჯების
სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება)



არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 717.2 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 371.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 51.8%-ია.

ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 429.9.0 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 291.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 67.7%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 404.2 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 256.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 63.6%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

მლნ ლარი

დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2016 მდგომარეობით)	8 თვის საკასო ხარჯი	სხვაობა (წლიური დაზუსტებული გეგმა-საკასო ხარჯი)	ფაქტი/ წლიური გეგმა
გადასახდელები	10,145.0	6,426.4	3,718.6	63.3%
ხარჯები	8,593.6	5,507.0	3,086.6	64.1%
შრომის ანაზღაურება	1,441.3	952.1	489.2	66.1%
საქონელი და მომსახურება	1,064.7	692.5	372.2	65.0%
პროცენტი	415.8	271.1	144.7	65.2%
სუბსიდიები	285.7	204.9	80.8	71.7%
გრანტები	977.3	582.4	394.9	59.6%
სოციალური უზრუნველყოფა	3,058.0	2,036.9	1,021.1	66.6%
სხვა ხარჯები	1,350.9	767.1	583.8	56.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	717.2	371.3	345.9	51.8%
ფინანსური აქტივების ზრდა	429.9	291.1	138.8	67.7%
ვალდებულებების კლება	404.2	256.9	147.3	63.6%

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება თვეების მიხედვით

წლიურ ფაქტთან შედარებით (2011-2016 იანვარი-აგვისტო)




2016 წლის 8 თვის განმავლობაში გაწეული გადასახდელები კი წლიური გეგმის 63.3%-ს შეადგენს, რისი გათვალისწინებითაც მოსალოდნელია, რომ გადასახდელების დაგეგმილი პარამეტრების შეუფერხებლად შესრულდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 107.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 886.5 მლნ ლარი) 58.7%-ია. აღნიშნული თანხიდან 554.9 მლნ ლარი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადაცემულ ტრანსფერებს.
- ✓ თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 453.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (639.7 მლნ ლარი) 70.9%-ია;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 637.8 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 015.2 მლნ ლარი) 62.8%-ია;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 603.6 მლნ ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 115.5 მლნ ლარი) 54.1%.

- ✓ **გარემოს დაცვის ხაზით** დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 47.3 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30.1 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 63.6%;
- ✓ **საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსებაზე** დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 54.6 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30.1 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 55.2%;
- ✓ **ჯანმრთელობის დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 627.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (862.3 მლნ ლარი) 72.8-ია%;
- ✓ **საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში** დაფინანსდა 176.8 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის - 235.2 მლნ ლარის, 75.2%-ს შეადგენს;
- ✓ **განათლების ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 636.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 047.3 მლნ ლარი) 60.7-ია%;
- ✓ **სოციალური დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 574.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 407.2 მლნ ლარი) 65.4-ია%;

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რვა თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (საკასო შესრულება)



წლიური საბიუჯეტო კანონის დაზუსტებული გეგმით **სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის** მიზნით განსაზღვრულია 768.7 მლნ ლარი, ხოლო რვა თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 483.9 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ **საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის** 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 311.1 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა)

გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 116.2 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 194.9 მლნ ლარი.

- ✓ **საშინაო სახელმწიფო** ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 172.8 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 154.8 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 18.0 მლნ ლარი.
- ✓ 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან **ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა** შეადგინა 554.9 მლნ ლარი. აქედან, გათანაბრებითი ტრანსფერი – 399.9 მლნ ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 7.8 მლნ ლარი, ხოლო სპეციალური ტრანსფერი – 147.2 მლნ ლარი (მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის სპეციალური ტრანსფერის სახით – 6.8 მლნ ლარი).

2016 წლის 8 თვის განმავლობაში:

- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 155 123.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 57 711.1 ათასი ლარი;
- ✓ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 4 298.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 2 971.3 ათასი ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 314 050.9 ათასი ლარი, მათ შორის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილმა თანხამ - 50 000.0 ათასი ლარი. 1 სექტემბრის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა შეადგინა 156 839.2 ათასი ლარი, მათ შორის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად - 11 688.6 ათასი ლარი.
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიიმართა 33 863.5 ათასი ლარი, მათ შორის შესაბამისი სააღსრულებო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 8 152.6 ათასი ლარი (ფიზიკური პირების სასარგებლოდ 7 748.6 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირების სასარგებლოდ – 404.0 ათასი ლარი).
- ✓ 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 455 213.0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების 2016 წლის 8 თვის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2016 მდგომარეობით)	8 თვის ფაქტი	%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	60,031.7	38,927.2	64.8%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,178.5	9,169.0	69.6%
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	2,000.0	1,189.3	59.5%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	21,466.8	12,296.9	57.3%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	15,142.2	10,012.9	66.1%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	63,769.5	25,081.3	39.3%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,400.0	2,096.5	61.7%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	7,650.0	4,238.8	55.4%
09 00	საერთო სასამართლოები	54,060.1	31,962.3	59.1%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,700.0	1,545.0	57.2%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	900.0	535.8	59.5%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	700.0	437.8	62.5%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყებულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	800.0	554.4	69.3%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	800.0	510.8	63.9%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	650.0	416.2	64.0%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	650.0	391.1	60.2%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	650.0	337.4	51.9%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1,000.0	596.9	59.7%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	700.0	373.2	53.3%
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	5,481.5	3,294.3	60.1%
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,331.0	873.7	65.6%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,650.0	1,141.3	69.2%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	88,664.1	52,982.9	59.8%

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2016 მდგომარეობით)	8 თვის ფაქტი	%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	130,796.9	77,383.8	59.2%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	962,169.9	509,251.7	52.9%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	96,235.9	68,195.4	70.9%
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	152,558.2	85,097.8	55.8%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	107,640.0	69,922.6	65.0%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	663,510.3	469,488.8	70.8%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	588,092.6	381,481.6	64.9%
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	15,000.0	7,138.3	47.6%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	968,804.9	585,948.1	60.5%
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	120,267.9	90,383.8	75.2%
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	84,483.2	61,837.2	73.2%
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,163,923.2	2,105,553.3	66.5%
36 00	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	138,216.7	137,688.9	99.6%
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	320,725.0	183,092.5	57.1%
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	43,053.0	27,804.7	64.6%
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	102,799.7	87,988.8	85.6%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	55,000.0	34,534.5	62.8%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	4,500.0	3,754.4	83.4%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	44,490.0	29,865.7	67.1%
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	2,000.0	1,097.1	54.9%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,500.0	2,651.6	75.8%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	26,742.4	17,923.5	67.0%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	3,500.0	2,489.4	71.1%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	7,800.0	5,395.0	69.2%
48 00	სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,300.0	870.4	67.0%
49 00	სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,300.0	1,177.7	51.2%
50 00	სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო	1,400.0	677.5	48.4%
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	2,100.0	957.2	45.6%
52 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,300.0	795.5	61.2%
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	5,800.0	2,845.0	49.1%
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,450.0	3,952.0	53.0%
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,600.0	3,801.9	67.9%
56 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0	745.8	34.7%
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0	173.3	66.7%
58 00	სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	6,508.1	2,676.6	41.1%

კოდი	დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2016 მდგომარეობით)	8 თვის ფაქტი	%
59 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	5,200.0	3,375.7	64.9%
60 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	100,000.0	67,920.0	67.9%
61 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	300.0	0.0	0.0%
62 00	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,850,146.8	1,091,153.2	59.0%
64 00	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	0.0	306.0	#DIV/0!